ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №8019358

ნომერი: AR11151819

თარიღი : 13.07.2026

გაცემის თარიღი : 27.07.2026

გაცნობის თარიღი : 27.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 93; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N93-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით რობაქიძე პ/ნ 01024034289
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 25ა, ბინა 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- ღანდშაფტური მშენებლობა

  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 93; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N93-ის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო საზღვრების არეალში , გრუნტის ზედაპირზე არსებული დაზიანებული საფარის( ბეტონის ფილის) აღდგენა / გამაგრებისა და შენობის საფასადე სიბრტყეზე სამღებრი სამუშაოების მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სუშაოების განხორციელებას

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციი (საკადასტრო მონაცემები N 01.13.01.015.138, რეგN 892025178903 ,03/11/2025 წ. არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზები .) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 93; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N93-ის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო საზღვრების არეალში , გრუნტის ზედაპირზე არსებული დაზიანებული საფარის( ბეტონის ფილის) აღდგენა / გამაგრებისა და შენობის საფასადე სიბრტყეზე სამღებრი სამუშაოების მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.